



საბმთქალაქო საზოგადოების განვითარებისა
 და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
 ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY
 FOR SUSTAINABILITY (ACCESS)



ახალგაზრდების
დემოკრატია
ევროინტეგრაციის
პროცესისადმი

კ ვ ლ ე ვ ი ს ა ნ ბ ა რ ი შ ი



ევროკომუნიკატორის გამომცემათა სერია

#1

საქართვებერი
2015

მედიის განვითარების ფონდი

კითხვარის შედგენა და კვლევის ანგარიში:
ლელა ხომერიძი

საველე სამუშაოები და მონაცემთა დამუშავება:
გამოყენებითი კვლევების კომპანია (ARC)

რეკომენდაციები და რედაქტირება:
თამარ კინწურაშვილი

ფოტო გარეკანზე:
GURAM MURADOV | *Civil.ge*

დიზაინი:
ბესიკ დანელია | *IBDesign*

წინამდებარე კვლევა მედიის განვითარების ფონდმა (MDF) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეთა ჩართულობის პროექტის (ACCESS) „მითების მსხვერველ და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება“ ფარგლებში ჩატარა. საველე სამუშაოები და მონაცემთა დამუშავება გამოყენებითი კვლევების კომპანიამ (ARC) განახორციელა.



სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ მედიის განვითარების ფონდი (MDF). ის შესაძლოა არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

© 2015, მედიის განვითარების ფონდი

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.EUROCOMMUNICATOR.GE
WWW.FACEBOOK.COM/MYTHDETECTOR

ISBN 978-9941-0-8345-7

შესავალი	9
კვლევის მეთოდოლოგია	10
I ნაწილი. სოციო-დემოგრაფიული ბლოკი	11
დიაგრამა 1.1. განათლების საფეხურები	11
დიაგრამა 1.2. საქმიანობა	11
დიაგრამა 1.3. ინგლისური ენის ცოდნა	12
დიაგრამა 1.4. ინგლისური ენის ცოდნა რესპონდენტთა თვითშეფასებით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	13
დიაგრამა 1.5. ინგლისური და რუსული ენების ცოდნის შედარება	14
დიაგრამა 1.6. ქართული ენის ცოდნა იმ რესპონდენტებს შორის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური	15
დიაგრამა 1.7. რესპონდენტები, რომლებიც სწავლობდნენ ან ცხოვრობდნენ სხვა ქვეყნებში	15
დიაგრამა 1.8. ქვეყნები, სადაც სწავლობდნენ ან ცხოვრობდნენ რესპონდენტები	16
დიაგრამა 1.9. რესპონდენტთა ოჯახის წევრები, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ სხვა ქვეყანაში	17
დიაგრამა 1.10. ქვეყნები, სადაც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ რესპონდენტთა ოჯახის წევრები	17
დიაგრამა 1.11. რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირე	18
ცხრილი 1.1. ინგლისური ენის ცოდნა რესპონდენტთა თვითშეფასებით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	12
ცხრილი 1.2. რუსული ენის ცოდნა რესპონდენტთა თვითშეფასებით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	13
ცხრილი 1.3. რესპონდენტთა რელიგიური კუთვნილება	18
ნაწილი II. ინფორმაციის წყაროები	19
დიაგრამა 2.1. ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე	19
დიაგრამა 2.2. სოციალური ქსელებით სარგებლობა	20
დიაგრამა 2.3. ახალგაზრდების ინფორმირებულობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ	21

დიაგრამა 2.4. ახალგაზრდების ინფორმირებულობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ	22
დიაგრამა 2.5. ახალგაზრდების ინფორმირებულობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	23
დიაგრამა 2.6. ახალგაზრდებისათვის საქართველოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები	23
ცხრილი 2.1. ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	19
ცხრილი 2.2. სოციალური ქსელებით სარგებლობა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	21
ცხრილი 2.3. ინტერნეტის გამოყენების მიზნობრიობა	21
ცხრილი 2.4. ინტერნეტ-გამოცემები, რომლებსაც რესპონდენტები ინფორმაციის წყაროდ იყენებენ	21
ცხრილი 2.5. ახალგაზრდების ინფორმირებულობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	22

ნაწილი III. ახალგაზრდათა დამოკიდებულება ევროპასთან ინტეგრაციის პროცესისადმი და ინფორმირებულობის დონე

დიაგრამა 3.1. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება	24
დიაგრამა 3.2. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება ქალაქების მიხედვით	26
დიაგრამა 3.3. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება იმ რესპონდენტთა შორის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა	26
დიაგრამა 3.4. ახალგაზრდების ინფორმირებულობა ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ	27
დიაგრამა 3.5. ახალგაზრდების ინფორმირებულობა ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ თბილისისა და სხვა ქალაქების მიხედვით	28
დიაგრამა 3.6. ახალგაზრდების ინფორმირებულობა ევროპასთან დაახლოების პროცესის შესახებ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	29
დიაგრამა 3.7. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის წყარო – ქართულენოვანი სატელევიზიო არხები	29
დიაგრამა 3.8. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება ქართულენოვანი სატელევიზიო არხების მიხედვით	30
დიაგრამა 3.9. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება ქართულენოვანი სატელევიზიო არხებისა და საცხოვრებელი არხების მიხედვით	31

დიაგრამა 3.10. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება არაქართულენოვანი სატელევიზიო არხებიდან	33
დიაგრამა 3.11. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება არაქართულენოვანი სატელევიზიო არხებიდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	33
დიაგრამა 3.12. ინტერნეტი, როგორც ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო	34
დიაგრამა 3.13. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის წყარო – რადიო	35
დიაგრამა 3.14. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება რადიო არხების მიხედვით	35
დიაგრამა 3.15. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის წყარო – ბეჭდური მედია	36
დიაგრამა 3.16. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება ბეჭდური მედია საშუალებების მიხედვით	36
დიაგრამა 3.17. ევროინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღების სხვა წყაროები	37

ცხრილი 3.1. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება	25
ცხრილი 3.2 . საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება იმ რესპონდენტებს შორის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა	27
ცხრილი 3.3. ევროინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღების არაქართულენოვანო სატელევიზიო წყაროები	33
ცხრილი 3.4. ევროინტეგრაციის საკითხებზე ინტერნეტ-საიტების ცნობადობა ახალგაზრდებს შორის	34
ცხრილი 3.5. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება რადიო არხებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	35

ევროკავშირთან დაახლოების პროცესის სარგებელი და საფრთხეები რესპონდენტთა შეფასებით 38

ცხრილი 4.1. რესპონდენტთა მოსაზრებები საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესის შედეგად მიღებული სარგებლის შესახებ	38
ცხრილი 4.2. რესპონდენტთა მოსაზრებები საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესის შედეგად მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ	40

ახალგაზრდების ინფორმირებულობა ასოცირების ხელშეკრულების შესახებ („მითების დემიჟტორის“ მიხედვით) 41

ცხრილი და დიაგრამა 5.1. ასოცირების ხელშეკრულება სოფლის მეურნეობასა და სურსათის უვნებლობაზე	44
ცხრილი და დიაგრამა 5.2. ასოცირების ხელშეკრულება ადამიანის უფლებებზე	45

ცხრილი და დიაგრამა 5.3. ასოცირების ხელშეკრულება კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე	46
ცხრილი და დიაგრამა 5.4. ასოცირების ხელშეკრულება და კონფლიქტების მოგვარება	47
ცხრილი და დიაგრამა 5.5. ასოცირების ხელშეკრულება და ID ბარათები	48
ცხრილი და დიაგრამა 5.6. ასოცირების ხელშეკრულება და უვიზო მიმოსვლა	48
ცხრილი და დიაგრამა 5.7. ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA	49

**ევროპასთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული საკითხების პრიორიტეტულობის განსაზღვრა
ახალგაზრდების მიერ**

50

ცხრილი 6.1. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების პრიორიტეტული საკითხები	50
ცხრილი 6.2. ევროინტეგრაციის საკითხები, რაზეც ახალგაზრდებს ინფორმაციის მიღება სურთ	54

დიაგრამა 6.1. საქართველოს ხელისუფლების საგარეო კურსის შეფასება	51
დიაგრამა 6.2. ხელისუფლების წარმომადგენელთა გზავნილების თანმიმდევრულობა	52
დიაგრამა 6.3. ახალგაზრდების ინტერესი ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიღებისადმი	52
დიაგრამა 6.4. ევროინტეგრაციის შესახებ კომუნიკაციის სასურველი გზები	53

დასკვნები და რეკომენდაციები

56

მედიის განვითარების ფონდი (MDF) აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეთა ჩართულობის პროექტის (ACCESS) ფარგლებში ახორციელებს პროექტს „მითების მსხვერვა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება“.

პროექტის მიზანია ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ კომუნიკაციის ხელშეწყობა. ევროკომუნიკატორის სერიის I გამოცემაში წარმოდგენილია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები, რომელიც ახალგაზრდებს შორის ჩატარდა, ხოლო შემდეგი II კვლევა საქართველოს მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგიის შეფასებას დაეთმობა.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა ევროინტეგრაციის პროცესისადმი ახალგაზრდების განწყობების შესწავლა, საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესის შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის შეფასება და იმ ძირითადი საინფორმაციო წყაროების დადგენა, საიდანაც ისინი ევროინტეგრაციის საკითხებზე ინფორმაციას იღებენ.

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება სახელმწიფო სტრუქტურებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებს ევროპასთან დაახლოების პროცესის შესახებ ინფორმირების ეფექტიანი სტრატეგიის დაგეგმვაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ კი, პირისპირ ინტერვიუს მეთოდით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი, რომელიც მოიცავდა, როგორც ღია, ისე ფორმალიზებულ კითხვებს.

გამოკითხვამ მოიცვა 13 ქალაქი: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, გორი, თელავი, რუსთავი, ახალციხე, ახალქალაქი, მარნეული, დმანისი.

გამოკითხვა 17-დან 35 წლამდე ასაკის 1086 რესპონდენტი.

გამოკითხვა 2015 წლის სექტემბერში ჩატარდა.

ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით რესპონდენტები შემდეგნაირად გადანაწილდნენ: 17-20 წლის 16,9%, 21-25 წლის – 27,4%, 26-30 წლისა – 27,4%, 31-35 წლისა – 28.3%.

კვლევის მონაწილეებიდან მდებრობითი სქესის რესპონდენტებმა – 62,2%, ხოლო მამრობითი სქესის რესპონდენტებმა 37,8% შეადგინეს.


გამოკითხულთა რაოდენობა ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა:

ადმინისტრაციული ერთეულები	გამოკითხულთა რაოდენობა
თბილისი	578
გორი	20
ზუგდიდი	40
ოზურგეთი	19
ქუთაისი	101
თელავი	20
ბათუმი	60
ახალქალაქი	40
ახალციხე	42
მარნეული	43
დმანისი	43
რუსთავი	60
ფოთი	20
სულ	1086


პასუხები კითხვაზე – ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან რომელი შეესაბამება თქვენს მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალ საფეხურს? – შემდეგნაირად განაწილდა:

მიმდინარე საქმიანობა. გამოკითხულ ახალგაზრდათა 13,4% სტუდენტია, 9,3% სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული, 27,3% – კერძო სექტორში, 1,6% – საზოგადოებრივ სექტორში, თვითდასაქმებულია 6,6%, უმუშევარია რესპონდენტთა 40,8%, სკოლაში სწავლობს – 1%.

დიაგრამა 1.2. საქმიანობა




დიაგრამა 1.1 განათლების საფეხურები



ენების ცოდნა

რესპონდენტთა თვითშეფასებით, ინგლისური ენა ძალიან კარგად იცის ახალგაზრდების 11,2 %-მა, კარგად იცის 20,4%-მა, საშუალოდ იცის 22%-მა, ცუდად – 28,4%-მა, საერთოდ არ იცის 18%-მა.

დიაგრამა 1.3. ინგლისური ენის ცოდნა




ცხრილი 1.1. ინგლისური ენის ცოდნა რესპონდენტთა თვითშეფასებით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

ინგლისური ენის ცოდნა	გამოკითხულთა საერთო რიცხვი	თბილისი	დანარჩენი ქალაქები, გარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისა	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქები
ძალიან კარგად ვიცი	11.2	17.3	3.2	6.5
კარგად ვიცი	20.4	23.1	20.5	11.3
საშუალოდ ვიცი	22	23.1	24.9	12.5
ცუდად ვიცი	28.4	25.5	28.5	38.2
საერთოდ არ ვიცი	18	11	22.9	31.5

ინგლისური ენის ცოდნის დონე განსხვავდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებიდან მეტი (კერძოდ, 17,3%) თვლის, რომ ძალიან კარგად იცის ინგლისური ენა, მაშინ, როცა ასე მიაჩნია სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების 3,2%-ს, ხოლო ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა 6,5%-ს.

პროცენტული რაოდენობა პასუხებისა – კარგად ვიცი, საშუალოდ ვიცი და ცუდად ვიცი – თითქმის ერთნაირია თბილისში მცხოვრები ახალგაზრდებისა და იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ დანარჩენ ქალაქებში, გარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისა. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში, თბილისთან და სხვა ქალაქებთან შედარებით, ორჯერ ნაკლებია პროცენტული შემადგენლობა იმ ახალგაზრდებისა, ვინც თვლის, რომ კარგად (11,3%) ან საშუალოდ (12,5%) იცის ინგლისური ენა. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში, ყველაზე მაღალია პროცენტული რაოდენობა იმ ახალგაზრდებისა, ვინც თვლის, რომ ცუდად (38,2%) ან საერთოდ არ იცის (31,5%) ინგლისური ენა.

დიაგრამა 1.4. ინგლისური ენის ცოდნა რესპონდენტთა თვითშეფასებით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



რესპონდენტთა თვითშეფასებით, რუსული ენა ძალიან კარგად იცის ახალგაზრდების 19,6 %-მა, კარგად იცის 25,2%-მა, საშუალოდ იცის 27,8%-მა, ცუდად – 17,8%-მა, საერთოდ არ იცის 9,6%-მა.


რუსული ენის ცოდნის დონე განსხვავდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თბილისში და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდებიდან მეტი (კერძოდ, 24,8% და 27,4%) თვლის, რომ ძალიან კარგად იცის რუსული ენა, მაშინ როცა ასე მიაჩნია სხვა ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების 7.1%-ს.

ცხრილი 1.2. რუსული ენის ცოდნა რესპონდენტთა თვითშეფასებით, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

რუსული ენის ცოდნა	გამოკითხულთა საერთო რიცხვი	თბილისი	დანარჩენი ქალაქები, გარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისა	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქები
ძალიან კარგად ვიცი	19.6	24.8	7.1	27.4
კარგად ვიცი	25.2	23.7	27.9	25.0
საშუალოდ ვიცი	27.8	22.5	36.1	29.2
ცუდად ვიცი	17.8	18.9	19.8	9.5
საერთოდ არ ვიცი	9.6	10.1	9.1	8.9

ქვემოთმოყვანილ დიაგრამებზე იხილეთ ინგლისური და რუსული ენის ცოდნის მარკენებლები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით:

დიაგრამა 1.5. ინგლისური და რუსული ენების ცოდნის შედარება



კვლევის იმ მონაწილეებიდან, ვისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, არცერთი რესპონდენტი არ თვლის, რომ საერთოდ არ იცის ქართული ენა. რესპონდენტთა თვითშეფასებით, ქართული ცუდად იცის 20,8%-მა, საშუალოდ იცის 27,8%, კარგად 29,9 %-მა, ხოლო ძალიან კარგად 21,5%-მა.

დიაგრამა 1.6. ქართული ენის ცოდნა იმ რესპონდენტებს შორის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური




აზერბაიჯანული ენა, იმ ახალგაზრდებს შორის, ვისთვისაც აზერბაიჯანული ენა არ არის მშობლიური, იცის რესპონდენტთა 1.6%-მა. სომხური ენა, იმ ახალგაზრდებს შორის, ვისთვისაც სომხური ენა არ არის მშობლიური ენა, იცის 2.7%-მა.

გისწავლიათ ან გიცხოვრებთ თუ არა სხვა ქვეყანაში?

გამოკითხულ ახალგაზრდათა 8,6%-ს სწავლობდა, ხოლო 16,6% ცხოვრობდა სხვა ქვეყნებში.


დიაგრამა 1.7. რესპონდენტები, რომლებიც სწავლობდნენ ან ცხოვრობდნენ სხვა ქვეყნებში

გისწავლიათ თუ არა სხვა ქვეყანაში?



■ დიახ
■ არა

გიცხოვრებთ თუ არა სხვა ქვეყანაში?




■ დიახ
■ არა

ქვემოთ მოყვანილ დიაგრამებზე მოცემულია იმ რესპონდენტთა პროცენტული გადანაწილება ქვეყნების მიხედვით, რომელთაც უსწავლიათ და უცხოვრიათ სხვა ქვეყნებში:

დიაგრამა 1.8. ქვეყნები, სადაც სწავლობდნენ ან ცხოვრობდნენ რესპონდენტები


რომელ ქვეყანაში გისწავლიათ?

პროცენტები დათვლილი მათ შორის, ვისაც უსწავლია სხვა ქვეყნებში, რესპონდენტს შეეძლო ერთზე მეტი პასუხის გაცემა



რომელ ქვეყანაში გიცხოვრებთ?


პროცენტები დათვლილი მათ შორის, ვისაც უცხოვრია სხვა ქვეყნებში, რესპონდენტს შეეძლო ერთზე მეტი პასუხის გაცემა



თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი ხომ არ ცხოვრობს ან ცხოვრობდა სხვა ქვეყანაში?


გამოკითხულ ახალგაზრდათა 20,8%-ს აღნიშნავს, რომ მის ოჯახის წევრს უცხოვრია ან ცხოვრობს სხვა ქვეყანაში.

დიაგრამა 1.9. რესპონდენტთა ოჯახის წევრები, რომლებიც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ სხვა ქვეყანაში



ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე მოცემულია იმ რესპონდენტთა პასუხების პროცენტული გადანაწილება ქვეყნების მიხედვით, რომელთა ოჯახის წევრებს უცხოვრიათ ან ცხოვრობენ სხვა ქვეყნებში:

დიაგრამა 1.10. ქვეყნები, სადაც ცხოვრობდნენ ან ცხოვრობენ რესპონდენტთა ოჯახის წევრები



მონაცემები დათვლილია იმ რესპონდენტთა პასუხებიდან, რომელთა ოჯახის რომელიმე წევრი ცხოვრობს ან ცხოვრობდა სხვა ქვეყანაში

რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირე

რესპონდენტთა გადანაწილება იმისდა მიხედვით, თუ რომელ რელიგიას ან აღმსარებლობას მიაკუთვნებენ თავს, შემდეგია:

ცხრილი 1.3. რესპონდენტთა რელიგიური კუთვნილება

მართლმადიდებელ ეკლესიას	86.28
ისლამს	5.25
სომხურ სამოციქულო ეკლესიას	4.42
კათოლიკურ ეკლესიას	0.64
პროტესტანტულს	0.28
სხვა	0.92
არცერთს	1.38
უარი პასუხზე	0.83

რელიგიურ მსახურებას ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა 15,5% კვირაში ერთხელ ან უფრო ხშირად ესწრება, თვეში ერთხელ ესწრება – 20,6%, მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე – 35,5%, იშვიათად – 24,8%, არასდროს – 2,3%.


დიაგრამა 1.11. რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირე



ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე

ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებს გამოკითხული ახალგაზრდების 77.6%, კვირაში რამდენჯერმე 8.9%, კვირაში ერთხელ 1.4%, იშვიათად 6.2%, არასდროს 5.5%.

დიაგრამა 2.1. ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე



თბილისსა და სხვა დანარჩენ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე განსხვავდება. განსაკუთრებით, საგრძნობია სხვაობა თბილისისა და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქების მაჩვენებლებს შორის. ინტერნეტით ყოველდღიურად სარგებლობს თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების 83%, მაშინ როდესაც ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდებში ინტერნეტის ყოველდღიური მომხმარებლების რიცხვი 59,50%-ს შეადგენს.


ცხრილი 2.1. ინტერნეტით სარგებლობის სიხშირე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

	საერთო	თბილისი	სხვა ქალაქები	სხვა ქალაქები, გარდა ეთნ. უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისა	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქები
ყოველდღე	77.6	83.00	71.50	77.40	59.50
კვირაში რამდენჯერმე	8.9	7.80	10.20	7.60	15.50
კვირაში ერთხელ	1.4	0.70	2.20	1.80	3.00
იშვიათად	6.2	5.40	7.00	6.50	8.30
არასდროს	5.5	2.90	8.50	6.10	13.10
უარი პასუხზე	0.4	0.20	0.60	0.60	0.60

რა მიზნით იყენებთ ინტერნეტს?

ყველაზე ხშირად ინტერნეტის მომხმარებელი ახალგაზრდები ინტერნეტს სოციალური ქსელებით სარგებლობისათვის იყენებენ. ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელია ფეისბუქი, რომლითაც ინტერნეტის მომხმარებელ ახალგაზრდათა 88.9% სარგებლობს, „ოდნოკლასნიკებით“ სარგებლობს 31.3%, სხვა სოციალური ქსელებით კი 21.9%.

დიაგრამა 2.2. სოციალური ქსელებით სარგებლობა



თბილისში მცხოვრები ახალგაზრდები და ის ახალგაზრდები, რომლებიც იმ ქალაქებში ცხოვრობენ, რომელებიც არ მიეკუთვნებიან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არეალს, თანაბრად სარგებლობენ ფეისბუქით. კერძოდ, ფეისბუქით სარგებლობს ინტერნეტის მომხმარებელ ახალგაზრდათა 91,5% თბილისში და 90,8% სხვა ქალაქებში. ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდები ფეისბუქით ნაკლებად სარგებლობენ (74,5%).

საპირისპირო სურათი გვაქვს „ოდნოკლასნიკების“ შემთხვევაში. ამ სოციალური ქსელით სარგებლობს თბილისში მცხოვრებ, ინტერნეტის მომხმარებელ ახალგაზრდათა 25%, სხვა ქალაქების მცხოვრებ ახალგაზრდათა 33,9%, და ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა 49,7%.

ინტერნეტის ახალგაზრდა მომხმარებლების მიერ სოციალური ქსელებით სარგებლობის მაჩვენებლები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემდეგ სურათს გვაძლევს:

**ცხრილი 2.2. სოციალური ქსელებით სარგებლობა
საცხოვრებელი ადგილის მიხედვით**


	თბილისი	სხვა ქალაქები, გარდა ეთნ. უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისა	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქები
Facebook	91.5%	90.8%	74.5%
Одноклассники	25.0%	33.9%	49.7%
სხვა სოციალური ქსელები	25.2%	19.3%	17.4%

ელექტრონულ ფოსტას იყენებს ახალგაზრდების 51,5%, მცირე ნაწილი იღებს მონაწილეობას დისკუსიებში სხვადასხვა ფორუმებზე (4,6%), ასევე მცირე ნაწილი (4,3%) აცხადებს, რომ ინტერნეტს იყენებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე აზრის გამოსათქმელად.

ცხრილი 2.3. ინტერნეტის გამოყენების მიზნობრიობა

ელექტრონული ფოსტისათვის	51.5%
ვეცნობი ბლოგებს	12.5%
მონაწილეობას ვიღებ დისკუსიებში სხვადასხვა ფორუმებზე	4.6%
ვიყენებ ინტერნეტს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე აზრის გამოსათქმელად	4.3%
ბლოგერი ვარ	1.6%

**დიაგრამა 2.3. სოციალური ქსელებით სარგებლობა
საცხოვრებელი ადგილის მიხედვით**



კითხვარში, რომელიც ინტერნეტის გამოყენების მიზნობრიობას შეეხებოდა, ჩამოთვლილი იყო კონკრეტული ინტერნეტ-გამოცემები და რესპონდენტებს უნდა მიეთითებინათ, რომელ მათგანს იყენებდნენ ინფორმაციის წყაროდ. რესპონდენტებს შეეძლოთ აგრეთვე, ჩამონათვალისათვის დაემატებინათ სხვა ინტერნეტ-გამოცემა, რომელიც არ იყო სიაში. პასუხები შემდეგნაირად გადაწვილდა:


ცხრილი 2.4. ინტერნეტ-გამოცემები, რომლებსაც რესპონდენტები ინფორმაციის წყაროდ იყენებენ

ინტერპრესნიუსი	16.7%
ნეტგაზეთი	9.8%
ინფო 9	3.1%
პირველი	2.2%
საქინფორმი	1.5%
საქართველო და მსოფლიო	1.5%
სპუტნიკი	1.0%
რეპორტიორი	0.7%

ეცნობით თუ არა ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებზე?

ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ რეგულარულად ეცნობა საქართველოს ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა მხოლოდ 17.6%, პერიოდულად ეცნობა 38.4%, იშვიათად ეცნობა 30%. გამოკითხულ ახალგაზრდათა 12,1% საერთოდ არ ეცნობა ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური პროცესების შესახებ.

დიაგრამა 2.4. ახალგაზრდების ინფორმირებულობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ




თბილისსა და სხვა დანარჩენ ქალაქებში მცხოვრები ახალგაზრდების ინფორმირებულობა საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების შესახებ მცირედ განსხვავდება. მცირედი სხვაობა იკვეთება ასევე იმ ქალაქების მონაცემებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები მჭიდროდ არიან დასახლებული.

ცხრილი 2.5. ახალგაზრდების ინფორმირებულობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

	საერთო	თბილისი	სხვა ქალაქები	სხვა ქალაქები, გარდა ეთნ. უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისა	ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქები
რეგულარულად ვეცნობი	17.6	19.4	15.6	15.9	14.9
პერიოდულად ვეცნობი	38.4	36.9	40.2	39.7	41.1
იშვიათად ვეცნობი	30.0	28.2	32.1	33.5	29.2
საერთოდ არ ვეცნობი	12.1	13.3	10.6	10.3	11.3
არ ვიცი/უარი პასუხზე	1.9	2.2	1.5	0.6	3.5

დიაგრამა 2.5. ახალგაზრდების ინფორმირებულობა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით




რომელი წყაროებიდან ეცნობიან ახალგაზრდები ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ

ახალგაზრდებისათვის პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ ინფორმაციის ძირითად წყაროებს წარმოადგენს ტელევიზია და ინტერნეტი. ტელევიზიიდან საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ ინფორმაციას იღებს ახალგაზრდათა 80%, სოციალური ქსელებიდან 49%, სხვადასხვა ინტერნეტ-საიტებიდან 26%.

პოლიტიკური და სოციალური ხასიათის ინფორმაციას გაზეთებიდან, ჟურნალებიდან და რადიოდან ახალგაზრდების მცირე ნაწილი იღებს, კერძოდ კი, გაზეთებიდან მხოლოდ 4,3%, ჟურნალებიდან 2,4%, რადიოდან 4.9%.

დიაგრამა 2.6. ახალგაზრდებისათვის საქართველოში მიმდინარე სოციალურ და პოლიტიკური პროცესების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები




III ნაწილი

ესპანეთის დამოკიდებულება ევროპასთან ინტეგრაციის პროცესისადმი და ინფორმირებულობის დონე

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება

დიაგრამა 3.1. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება



საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების მომხრეა გამოკითხულ ახალგაზრდათა 78,5%.

მხარდამჭერთა შორის გვაქვს ორი ქვეკატეგორია: **მხარს ვუჭერ და უფრო ვუჭერ, ვიდრე არ ვუჭერ**. 59,1% აცხადებს, რომ მხარს უჭერს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესს, ხოლო 19,4%-ს პასუხია – უფრო ვუჭერ, ვიდრე არ ვუჭერ.

ევროპასთან საქართველოს დაახლოების პროცესს მხარს არ უჭერს გამოკითხულ ახალგაზრდათა 9,1%. მონაცემები ორ ქვეკატეგორიას შორის შემდეგი სახით ნაწილდება: 5,4% აცხადებს, რომ **მხარს არ უჭერს** ევროპასთან ინტეგრაციის პროცესს, ხოლო 3,7%-ის პასუხია **უფრო არ ვუჭერ, ვიდრე ვუჭერ**.

ცხრილი 3.1. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება

მხარს ვუჭერ	59.1
უფრო ვუჭერ, ვიდრე არ ვუჭერ	19.4
უფრო არ ვუჭერ, ვიდრე ვუჭერ	3.7
არ ვუჭერ მხარს	5.4
არ ვიცი	12.3
უარი პასუხზე	0.1

თბილისში მცხოვრებ და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა, ევროპასთან დაახლოების პროცესისადმი, დამოკიდებულებაში არის გარკვეული სხვაობები.


კერძოდ, თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდათა შორის, ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის მხარდამჭერთა პროცენტული რაოდენობა მეტია (82.4%), ვიდრე სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდებში (74%).

კერძოდ, პასუხს – მხარს ვუჭერ, თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდათა 66,8% და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა 50,4% იძლევა. ხოლო პასუხს – უფრო ვუჭერ, ვიდრე არ ვუჭერ მხარს, თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდათა 15,6% და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა 23,6% იძლევა.

თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდათა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა შორის პროცენტული რაოდენობა იმ რესპონდენტებისა, რომლებიც პასუხობს, რომ უფრო არ უჭერენ, ვიდრე უჭერენ მხარს და არ უჭერენ მხარს ევროპასთან დაახლოების პროცესს, თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან.


პასუხი – არ ვიცი – მიღებულია სხვა ქალაქებში მცხოვრებ რესპონდენტთა მეტი პროცენტული რაოდენობისაგან (14,8%), თბილისში მცხოვრები რესპონდენტებისაგან განსხვავებით (10,2%).

დიაგრამა 3.2. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება ქალაქების მიხედვით



იმ რესპონდენტთა შორის, რომელთა მშობლიური ენა არ არის ქართული, შედარებით დაბალია ევროინტეგრაციის მხარდამჭერთა რიცხვი (ჯამში 54% – ვუჭერ/უფრო ვუჭერ, ვიდრე არ ვუჭერ), ოდნავ მაღალია იმ რესპონდენტთა პროცენტული წილი, ვინც პასუხობს – არ ვუჭერ/ან უფრო არ ვუჭერ, ვიდრე ვუჭერ – (ჯამში 19%) და საერთო მაჩვენებელთან შედარებით, განსაკუთრებით მაღალია პასუხი არ ვიცის წილი – 27%.

დიაგრამა 3.3. საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება იმ რესპონდენტთა შორის, ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა




ცხრილი 3.2 . საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესისადმი დამოკიდებულება იმ რესპონდენტებს შორის ვისთვისაც ქართული არ არის მშობლიური ენა

მხარს ვუჭერ	27.1
უფრო ვუჭერ, ვიდრე არ ვუჭერ	26.4
უფრო არ ვუჭერ, ვიდრე ვუჭერ	11.1
არ ვუჭერ მხარს	8.3
არ ვიცი	27.1

ახალგაზრდათა ინფორმირებულობა ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესის შესახებ

ახალგაზრდათა მხოლოდ 2,7% თვლის, რომ ძალიან კარგად არის ინფორმირებული ევროპასთან საქართველოს დაახლოების პროცესის შესახებ. 11,6% პასუხობს, რომ კარგად ინფორმირებულია, 66,9% მეტ-ნაკლებად ინფორმირებულად, ხოლო 16,4% საერთოდ არაინფორმირებულად მიიჩნევს თავს.


დიაგრამა 3.4. ახალგაზრდები ინფორმირებულობა ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ



ევროპასთან დაახლოების პროცესის შესახებ, თბილისსა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა ინფორმირებულობის დონის მაჩვენებლებში გარკვეული სხვაობებია.


თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით, რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები ნაკლებად ინფორმირებულად გრძნობენ თავს ევროპასთან საქართველოს დაახლოების პროცესთან დაკავშირებით. ჯამში სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა 10,3% აცხადებს, რომ ძალიან კარგად ან კარგად არის ინფორმირებული, აღნიშნულ საკითხებზე, მაშინ, როცა ასე თვლის თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდათა მეტი პროცენტული რაოდენობა, კერძოდ კი 17,8%. რაც შეეხება იმ ახალგაზრდათა პროცენტულ რაოდენობას, რომლებიც ევროინტეგრაციის საკითხებზე საერთოდ არ არიან ინფორმირებული, თბილისში მცხოვრებთა შორის ასეთი ახალგაზრდები 14,2%-ს შეადგენენ, სხვა ქალაქებში კი ეს მაჩვენებელი მეტია და 18,9%-ს შეადგენს.

დიაგრამა 3.5. ახალგაზრდების ინფორმირებულობა ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ თბილისისა და სხვა ქალაქების მიხედვით



ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობის დონე მეტია თბილისში, მაგრამ თითქმის არ განსხვავდება სხვა ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა შორის, მათ შორის ეთნიკურად მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში.


დიაგრამა 3.6. ახალგაზრდების ინფორმირებულობა ევროპასთან დაახლოების პროცესის შესახებ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის წყაროები


ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციას ქართულენოვანი სატელევიზიო არხებიდან იღებს გამოკითხულ ახალგაზრდათა 29%.

დიაგრამა 3.7. საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის წყარო – ქართულენოვანი სატელევიზიო არხები




იმ რესპონდენტებმა, რომლებიც სატელევიზიო არხებიდან იღებენ ინფორმაციას ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ, დაასახელეს, კერძოდ რომელი არხებიდან იღებენ აღნიშნულ ინფორმაციას. პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

დიაგრამა 3.8. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება ქართულენოვანი სატელევიზიო არხების მიხედვით



მონაცემები იმის შესახებ, თუ კერძოდ, რომელი სატელევიზიო არხებია ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის წყარო, იმ რესპონდენტებისათვის, რომლებიც ტელევიზიიდან იღებენ აღნიშნულ ინფორმაციას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

დიაგრამა 3.9. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება ქართულენოვანი სატელევიზიო არხებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



დათვლილია იმ რესპონდენტთა პასუხებიდან, რომლებმაც განაცხადეს, რომ სატელევიზიო არხებიდან იღებენ აღნიშნული სახის ინფორმაციას

არ ვფლობ სახელმწიფო ენას და არ ვუყურებ ქართულ სატელევიზიო არხებს

იმ მიზეზის გამო, რომ არ ფლობს სახელმწიფო ენას და ქართული ცენტრალური არხების ინფორმაციის შინაარსი მისთვის გაუგებარია, არ უყურებს ქართულ სატელევიზიო ნაციონალურ არხებს ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებში მცხოვრებ ახალგაზრდათა 22,9%.

არ ვუყურებ ქართულ ნაციონალურ არხებს იმიტომ, რომ არ ასახავენ იმ პრობლემებს, რომლებიც მე მაინტერესებს

გამოკითხულ ახალგაზრდათა 6,9% აღნიშნავს, რომ არ უყურებს ქართული ნაციონალური არხებს იმ მიზეზით, რომ ისინი არ ასახავენ იმ პრობლემებს, რომლებიც მათ აინტერესებთ. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ეს მაჩვენებლები თითქმის არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ოდნავ მაღალია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქებისათვის (7,6%).


არ ვუყურებ ქართულ ნაციონალურ არხებს, იმიტომ რომ არ ასახავენ იმ პრობლემებს, რომლებიც მე მაინტერესებს



ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას იღებთ თუ არა სხვა საბელევიზიო არხებით ქართულენოვანი საბელევიზიო არხების გარდა?


გამოკითხულთა 13,8%, გარდა ქართულენოვანი სატელევიზიო არხებისა, ევროინტეგრაციის საკითხებზე ინფორმაციას სხვა სატელევიზიო არხებითაც იღებს.

დიაგრამა 3.10. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება არაქართულენოვანი სატელევიზიო არხებიდან



ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაციას, გარდა ქართული სატელევიზიო არხებისა, სხვა სატელევიზიო არხებიდან იღებს, თბილისში მცხოვრები რესპონდენტების 15%, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქალაქებში მცხოვრები რესპონდენტების 25% და სხვა დანარჩენ ქალაქებში მცხოვრები რესპონდენტების 5,9%.

დიაგრამა 3.11. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება არაქართულენოვანი სატელევიზიო არხებიდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით



იმ რესპონდენტთა პასუხების განაწილება, რომლებიც ევროინტეგრაციის საკითხებზე ინფორმაციას არაქართული სატელევიზიო არხებიდან იღებენ, შემდეგ სურათს გვაძლევს:


ცხრილი 3.3. ევროინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღების არაქართულენოვანი სატელევიზიო წყაროები

	თბილისი	ეთნიკურად ქართული რეგიონები	ეთნიკურად არაქართული რეგიონები
ინგლისურენოვანი არხები	65.1%	26.3%	4.8%
რუსულენოვანი არხები	49.4%	78.9%	73.8%
აზერბაიჯანულენოვანი არხები	2.4%		16.7%
თურქულენოვანი არხები	2.4%		23.8%
სომხურენოვანი არხები	1.2%		52.4%

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციას, იღებთ თუ არა ინტერნეტიდან?

ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციას ინტერნეტიდან იღებს გამოკითხულ ახალგაზრდათა 35,8%.

დიაგრამა 3.12. ინტერნეტი, როგორც ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღების წყარო



შეკითხვაზე, გაცნობიხართ თუ არა ინტერნეტში ქვემოთმოცემულ ვებ-გვერდებს, რომლებიც სპეციფიურად ევროინტეგრაციის საკითხებზე მუშაობენ, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:


ცხრილი 3.4. ევროინტეგრაციის საკითხებზე ინტერნეტ-საიტების ცნობადობა ახალგაზრდებს შორის

ვებ-საიტები	დიახ
საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ www.natoinfo.ge	38.3
ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში www.eeas.europa.eu	20.6
ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია www.eumm.ge	11.6
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი www.eu-nato.gov.ge	18.3
საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტი: www.mfa.gov.ge	40.6
სოფლის მეურნეობის სამინისტროს საიტი www.moa.gov.ge ან ფეისბუქის გვერდი	21.1
სხვა სამინისტროების საიტები	6.2
მითების დეტექტორი, მედიის განვითარების ფონდის პორტალზე www.eurocommunicator.ge	4.4
ევროპა საქართველოსთვის/Europe for Georgia – ყველაფერი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ – www.eugeorgia.info	14.4
ვიზა ლიბერალიზაციის შესახებ www.info-visa.ge	21.1

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების შესახებ ინფორმაციას იღებთ თუ არა რადიოდან?

ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციას რადიოდან იღებს გამოკითხულ ახალგაზრდათა 4,7%.


დიაგრამა 3.13. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის წყარო – რადიო



რესპონდენტებს, რომელთაც განაცხადეს, რომ რადიოდან მიუღიათ ინფორმაცია საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესის შესახებ, ეთხოვათ დაესახელებინათ კერძოდ, რომელი რადიო საშუალებებიდან მიიღეს აღნიშნული ინფორმაცია.

იმ რესპონდენტთაგან, რომლებსაც ევროპასთან საქართველოს ინტეგრაციის შესახებ ინფორმაცია რადიოდან მიუღია, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:

დიაგრამა 3.14. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება რადიო არხების მიხედვით



ცხრილი 3.5. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება რადიო არხებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით


	თბილისი	სხვა ქალაქები
მაესტრო	22.2%	9.1%
იმედი	18.5%	36.4%
აფხაზეთის ხმა	14.8%	9.1%
რადიო თავისუფლება	14.8%	
ფორტუნა	11.1%	13.6%
არ დაიდარდო	11.1%	
პალიტრა	7.4%	

	თბილისი	სხვა ქალაქები
BBC	7.4%	
ავტორადიო	7.4%	4.5%
ფორტუნა+	3.7%	4.5%
ძველი ქალაქი		9.1%
თრიალეთი		4.5%
საზოგადოებრივი რადიო		4.5%
მიჭირს პასუხის გაცემა	7.4%	9.1%

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების შესახებ ინფორმაციას იღებთ თუ არა ბეჭდური მედიიდან?


ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციას ბეჭდური მედიიდან იღებს გამოკითხულ ახალგაზრდათა 6,3%.

დიაგრამა 3.15. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის წყარო – ბეჭდური მედია



რესპონდენტებს, რომელთაც განაცხადეს, რომ ბეჭდური მედიიდან მიუღიათ ინფორმაცია საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესის შესახებ, ეთხოვათ დაესახელებინათ კერძოდ, რომელი ბეჭდური მედია საშუალებებიდან მიიღეს აღნიშნული ინფორმაცია.

დიაგრამა 3.16. ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღება ბეჭდური მედია საშუალებების მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტთა ნაწილმა დაასახელა ინტერპრესნიუსი, რომელიც საინფორმაციო სააგენტოა და 24 საათი, რომელიც ამჟამად ბეჭდური სახით არ გამოდის და ელექტრონულად არის ხელმისაწვდომი.


საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების შესახებ ინფორმაცია მივიღიათ თუ არა შემდეგი წყაროებიდან?

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების შესახებ ინფორმაციას გამოკითხულ ახალგაზრდათა საკმაოდ დიდი პროცენტული რაოდენობა იღებს არაფორმალური წყაროებიდან: მეგობრები (42,4%), ოჯახის წევრები და ნათესავები (39,3%), მეზობლები (18,4%).

აღნიშნული სახის ინფორმაცია სხვადასხვა სახის პუბლიკაციებით მიუღია გამოკითხულ ახალგაზრდათა 22%-ს, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან – 21,4%-ს, უმაღლესი სასწავლებლებიდან 14,9%-ს, პოლიტიკური პარტიებიდან 14,2%-ს,

ქვემოთმოყვანილ ცხრილში მოცემულია, რესპონდენტთა რა პროცენტული რაოდენობა იღებს ინფორმაციას ამა თუ იმ წყაროდან.

დიაგრამა და ცხრილი 3.17. ევროინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის მიღების სხვა წყაროები



ევროკავშირთან დაახლოების პროცესის სარგებელი და საფრთხეები რესპონდენტთა შეფასებით

ღია კითხვის საშუალებით, რესპონდენტებს შეეთავაზათ დაესახელებინათ ის სარგებელი და საფრთხეები, რაც მათი აზრით, ევროპასთან საქართველოს დაახლოების პროცესს შეიძლება ახლდეს.

ღია კითხვა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული:

საქართველომ 2014 წელს ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას, რაც ევროკავშირის ქვეყნებთან თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას გულისხმობს. თქვენი აზრით, რა სარგებლისა და რა საფრთხეების შემცველი შეიძლება იყოს ევროპასთან საქართველოს დაახლოების პროცესი?

საკუთარი მოსაზრებები ევროპასთან საქართველოს დაახლოების პროცესის შედეგად გამოწვეული სარგებელის შესახებ დაასახელა რესპონდენტთა **62%**-მა (674 რესპონდენტი). სარგებლის შესახებ დასახელდა 1098 მოსაზრება, რომელიც თემატური ანალიზის შედეგად 30 საკითხად დაჯამდა.

ცხრილი 4.1. რესპონდენტთა მოსაზრებები საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესის შედეგად მიღებული სარგებლის შესახებ

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის შედეგად მიღებული სარგებელი – რესპონდენტთა მოსაზრებები	პროცენტული რაოდენობა დათვლილია იმ რესპონდენტთაგან, ვინც სარგებლის შესახებ მოსაზრება გამოთქვა
ქვეყნის განვითარება, ცხოვრების დონის გაზრდა, ეკონომიკის გაჯანსაღება	63.8%
უვიზო მიმოსვლა	38.6%
ევროპაში განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდა	14.5%
ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერება	12.3%
ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-დაცვა	4.6%
უმუშევრობის დონის შემცირება	4.2%
თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა სხვა ქვეყნებთან	4.2%
საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა ყველა სფეროში	3.3%

ბიზნესის განვითარება	2.4%
საქართველოს შესახებ ცნობადობის გაზრდა	2.2%
სოფლის მეურნეობის განვითარება	2.1%
ევროპისგან მეტი მხარდაჭერა	1.9%
კულტურული მემკვიდრეობის დაცვა	1.5%
საერთაშორისო ბაზრების ათვისება	0.9%
ქვეყნის გარეთ დასაქმება	0.7%
ევროპული კულტურის გაცნობა	0.7%
ინვესტიციები გაიზრდება	0.7%
კანონმდებლობის ევროპულთან სინქრონიზაცია	0.6%
საგარეო ურთიერთობებში ქვეყანა დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს მიიღებს	0.6%
შემცირდება საბაჟო გადასახადი	0.4%
მიგრაციული პროცესების მოწესრიგება	0.4%
ჯანდაცვის სფეროს განვითარება	0.4%
ევროზონაში შესვლა	0.3%
ჯანსაღი პროდუქტი შემოვა ქვეყანაში	0.3%
ფასების შემცირება	0.3%
გაიზრდება ქვეყნის თავისუფლების ხარისხი	0.3%
ევროპული ბიზნესი გაჩნდება ქვეყანაში	0.1%
ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	0.1%
ნატოში შესვლის მეტი პერსპექტივა გაჩნდება	0.1%
შრომითი ურთიერთობები დარეგულირდება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის	0.1%

ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების პროცესში საფრთხეებს ხედავს რესპონდენტთა 31% (ჯამში 336 რესპონდენტი). რესპონდენტთა მიერ დასახელდა 400 მოსაზრება ევროკავშირთან დაახლოების პროცესით გამოწვეული საფრთხეების შესახებ.

ცხრილი 4.2. რესპონდენტთა მოსაზრებები საქართველოს ევროპასთან დაახლოების პროცესის შედეგად მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ

რა საფრთხეების შემცველი შეიძლება იყოს ევროპასთან საქართველოს დაახლოების პროცესი – რესპონდენტთა მოსაზრებები	პროცენტული რაოდენობა იმ რესპონდენტთაგან, ვინც საფრთხეების შესახებ მოსაზრება გამოთქვა
შეიძლება საფრთხე დაემუქროს ტრადიციებს, ეროვნული იდენტობის, ქართველობის დაკარგვის საფრთხე გაიზრდება	30.1%
უსაფრთხოების შემცირება, რუსეთის მხრიდან საფრთხის გაზრდა	27.5%
მიგრაციის გაზრდა	12.5%
რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება	7.8%
ევროპა გამოიყენებს ქვეყნის სამხედრო რესურსს, განაღებებს ბაზებს	6.6%
რელიგიური სექტების გაძლიერება	4.8%
ევროკავშირის მოთხოვნების დაკმაყოფილება რთული გახდება ქვეყნისა და ქვეყნის მოქალაქეებისთვის	3.6%
თავისუფლების მიცემა არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირთათვის	3.0%
გაიზრდება გარყვნილების, ალვირაბსნილობის დონე	3.0%
ქვეყნის დამოუკიდებლობას დაემუქრება საფრთხე	3.0%
ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდება	2.4%
დაკარგულ ტერიტორიებს ველარასდროს დავიბრუნებთ	2.1%
კონტრაბანდული საქონელი შემოვა	1.8%
რუსეთის ბაზრის დაკარგვა	1.5%
მოსახლეობის უკმაყოფილების გაზრდა ქვეყანაში	1.5%
ტერორიზმის საფრთხე დაგვემუქრება	1.5%
გლობალიზაცია ჩაყლაპავს ქვეყანას	1.5%

ფასები გაიზრდება ყველაფერზე	0.9%
უცხოელების, ლტოლვილების ნაკადი გაიზრდება	0.9%
ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება	0.9%
ევროს შემოსვლა საქართველოში	0.6%
შემცირდება სამუშაო ადგილები	0.6%
საქართველო იძულებული გახდება, განსაზღვროს საკუთარი საგარეო კურსი	0.6%
შიდა პოლიტიკური დაპირისპირება გაიზრდება	0.3%
ადგილობრივი სასწავლებლები დაიხურება	0.3%
შესაძლოა, ევროპა დაეპატრონოს ჩვენს ტერიტორიებს	0.3%

ახალგაზრდების ინფორმირებულობა ასოცირების ხელშეკრულების შესახებ („მითების დემიჰტორის“ მიხედვით)

კითხვარის ამ ბლოკის მიზანი იყო, შეგვეფასებინა რამდენად იყვნენ ახალგაზრდები ინფორმირებული ასოცირების ხელშეკრულების ძირითადი შინაარსის შესახებ, ასევე, გაგვეჩვენა, რამდენად ახდენს მათზე გავლენას საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების საფრთხეების შესახებ მედიის მიერ ან მედია საშუალებებით გავრცელებული მცდარი მოსაზრებები.

სფეროების მიხედვით ფორმირებულ კითხვებში გაერთიანდა რამდენიმე დებულება, რომელთა ნაწილიც მოიცავდა ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრულ საკითხებს, ნაწილი კი ევროკავშირთან დაახლოების საფრთხეების შესახებ მედიის მიერ ან მედიის საშუალებებით გავრცელებულ მცდარ მოსაზრებებს.

მცდარი მოსაზრებების ფორმულირებისათვის გამოვიყენეთ ის მითები, რომლებიც მედიის განვითარების ფონდის პროექტის „მითების მსხვერვა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის თაობაზე საზოგადოების ინფორმირება“ ფარგლებში „მითების დეტექტორის“ ფორმატში გამოვლინდა.

- დებულებები გავაერთიანეთ 7 ჯგუფში:
1. სოფლის მეურნეობა და სურსათის უვნებლობა
 2. ადამიანის უფლებები
 3. კულტურული მემკვიდრეობა

4. კონფლიქტების მოგვარება
5. ID ბარათები
6. უვიზო მიმოსვლის რეჟიმი
7. საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნა

რესპონდენტებს თითოეულ დებულებაზე ჰქონდათ პასუხების სამი არჩევანი: მართალია, მცდარია და არ ვიცი.

გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

- **სწორ დებულებებზე, პასუხს „მართალია“, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, იძლევა გამოკითხულ ახალგაზრდათა 53%-დან 67%-მდე.**
- **სწორ დებულებებზე პასუხს „მცდარია“ იძლევა გამოკითხულ ახალგაზრდათა 4,1%-დან 14%-მდე.**
- **მცდარ დებულებებზე პასუხს „მართალია“, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, იძლევა გამოკითხულ ახალგაზრდათა 8.7%-დან 29%-მდე.**

საკითხთა თითქმის ყველა ჯგუფში გამოიკვეთა ტენდენცია, რომ გამოკითხულ ახალგაზრდათა საკმაოდ მაღალი პროცენტი, საშუალოდ მესამედი, პასუხობს, რომ არ იცის, რამდენად მართალია თუ მცდარია მოყვანილი დებულებები. განსაკუთრებით, ძლიერია ეს ტენდენცია შემდეგ ბლოკებში: **კონფლიქტების მოგვარება** (პასუხი „არ ვიცი“ გვხვდება 37,8%-დან 48,3%-მდე ფარგლებში); **საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნა** (პასუხი „არ ვიცი“ გვხვდება 33,9%-დან 49,3%-მდე ფარგლებში).

ახალგაზრდები უკეთ არიან ინფორმირებულები იმ სარგებლის შესახებ, რასაც ევროპასთან დაახლოება მოიტანს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. ადამიანის უფლებათა სფეროსადმი მიძღვნილ კითხვაში გაერთიანებულმა სწორმა დებულებებმა პასუხი „მართალია“ მაღალი პროცენტი მიიღო. გამორჩეულად მაღალია პროცენტული რაოდენობა პასუხისა ‘მართალია’ (კერძოდ, კი 84%) დებულებაზე – „ადამიანის უფლებები უკეთ იქნება დაცული“.

თუმცა, დიდია იმ ახალგაზრდათა პროცენტული რაოდენობაც, რომლებსაც სწორად მიაჩნია ადამიანთა უფლებების ბლოკში გაერთიანებული არასწორი დებულებები. მაგალითად, დებულება „ქალის და მამაკაცების ტრადიციული როლების შეცვლა საფრთხეს უქმნის ქართულ ოჯახს“ სწორად მიაჩნია ახალგაზრდათა 29,7%-ს და მცდარად მხოლოდ 42,3%-ს.

მცდარი მოსაზრებებიდან ყველა დანარჩენზე მეტად პასუხი „მართალია“ და პასუხი „არ ვიცი“ მაღალი პროცენტი მიიღეს სხვადასხვა ბლოკებში გაერთიანებულმა ისეთმა დებულებებმა, როგორცაა:

- საბაჟო შეღავათები რეალურად ქართული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილზე გავრცელდება – (არ ვიცი – 49,2%);
- ევროკავშირს და დასავლურ ინსტიტუტებს არ შეუძლიათ რეალური დახმარება გაუწიონ საქართველოს, რეზოლუციებისა და საჯარო განცხადებების მიღმა (არ ვიცი – 42,3%);
- ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, საქართველოს მოუწევს ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებაზე უარის თქმა (არ ვიცი – 43,1%);
- ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს თურქეთის სამხედრო ბაზად გადააქცევს (არ ვიცი – 48,3%);
- ევროკავშირში არსებობს რეგულაციები ახალშობილებისათვის ჩიპების ჩაყენების შესახებ (არ ვიცი – 44,5%).

ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვადასხვა საკითხების კითხვებში ცალკეულ დებულებებზე გამოტანა აფასებს ინფორმირებულობისა თუ დებინფორმირებულობის დონეს ცალკეული საკითხისა და მითისადმი, რაც საშუალებას იძლევა ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვის დროს მეტი ყურადღება მიექცეს იმ საკითხებს, რომელიც მეტ საინფორმაციო სამუშაოს მოითხოვს.

ქვემოთმოყვანილ ცხრილებში და დიაგრამებზე იხილეთ დეტალური მონაცემები თითოეული დებულებისათვის.

თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია, როგორც სწორი, ისე მცდარი დებულებები. თვალსაჩინოებისათვის ცხრილებში მცდარი დებულებები ფერად ფონზე გვაქვს მოცემული.

რას მოითმანს ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობის სფეროში?

ცხრილი და დიაგრამა 5.1. ასოცირების ხელშეკრულება სოფლის მეურნეობისა და სურსათის უვნებლობაზე

	მართალია	მცდარია	არ ვიცი
ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვის უკეთესი მექანიზმები დამკვიდრდება	53.6%	9.8%	36.6%
აიკრძალება ოჯახური წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობა	12.0%	52.5%	35.5%
ევროპული სტანდარტები ქართული პროდუქციის ხარისხს გააუმჯობესებს და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტულს გახდის, გაიზრდება ექსპორტი	67.5%	7.3%	25.2%
ევროკავშირი 1 წლამდე გოჭების დაკვლის აკრძალვას მოითხოვს	8.7%	38.3%	53.0%
ქართველი მომხმარებელი მიიღებს უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის უვნებელ პროდუქტს	53.0%	14.0%	33.0%


ევროპული სტანდარტები ქართული პროდუქციის ხარისხს გააუმჯობესებს და მსოფლიო ბაზარზე კონკურენტულს გახდის, გაიზრდება ექსპორტი

ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო მექანიზმები დამკვიდრდება

ქართველი მომხმარებელი მიიღებს უსაფრთხო და ჯანმრთელობისთვის უვნებელ პროდუქტს

აიკრძალება ოჯახური წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქციით ვაჭრობა


ევროკავშირი ერთ წლამდე გოჭების დაკვლის აკრძალვას მოითხოვს



რა ცვლილებებს გამოიწვევს საქართველოს ევროპასთან დაახლოება ადამიანის უფლებათა სფეროში?

ცხრილი და დიაგრამა 5.2. ასოცირების ხელშეკრულება ადამიანის უფლებებზე


	მართალია	მცდარია	არ ვიცი
ადამიანის უფლებები უკეთ იქნება დაცული	84.0%	5.0%	11.0%
ასოცირების შესახებ შეთანხმება აიძულებს საქართველოს, დაუშვას ერთსქესიანი ქორწინება	19.9%	51.8%	28.3%
საზოგადოების ყველა ჯგუფი, მათ შორის უმცირესობები თანაბარი უფლებებით ისარგებლებენ	62.1%	9.4%	28.5%
საქართველოში ინცესტი/პედოფილია დაკანონდება	2.7%	69.0%	28.3%
ქალის და მამაკაცების ტრადიციული როლების შეცვლა საფრთხეს უქმნის ქართულ ოჯახს	29.7%	42.3%	28.0%



რა შედეგებს მოიძიან ასოცირების შეთანხმების განხორციელება კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით?

ცხრილი და დიაგრამა 5.3. ასოცირების ხელშეკრულება კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე


	მართალია	მცდარია	არ ვიცი
ასოცირების ხელშეკრულება აღიარებს და იცავს ერების კულტურულ მემკვიდრეობას	65.3%	5.9%	28.8%
საფრთხე დაემუქრება საქართველოს კულტურულ თვითმყოფადობას	18.8%	52.3%	28.9%
ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და სათანადოდ დაცვას	60.5%	7.1%	32.4%
ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელება საფრთხეს უქმნის მართლმადიდებლობას	14.2%	58.4%	27.4%
დაეხმარება საქართველოს, უკეთ გააცნოს მსოფლიო თანამეგობრობას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და თავისი ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საერთო სივრცეში	75.4%	4.1%	20.5%



რას მოითმას ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება კონფლიქტების მოგვარების სფეროში?

ცხრილი და დიაგრამა 5.4. ასოცირების ხელშეკრულება და კონფლიქტების მოგვარება


	მართალია	მცდარია	არ ვიცი
ასოცირების შესახებ შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების მიმართ	57.7%	4.4%	37.9%
ევროკავშირს და დასავლურ ინსტიტუტებს არ შეუძლიათ რეალური დახმარება გაუწიონ საქართველოს, რეზოლუციებისა და საჯარო განცხადებების მიღმა	27.1%	30.7%	42.2%
ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, საქართველოს მოუწევს ოკუპირებული რეგიონების დაბრუნებაზე უარის თქმა	16.1%	40.8%	43.1%
ევროკავშირთან საქართველოს ინტეგრაციის შედეგად მიღებული სარგებელი უნდა გავრცელდეს საქართველოს ყველა მოქალაქეზე, კონფლიქტის შედეგად დაშორიშორებული საზოგადოების ჩათვლით	48.8%	6.8%	44.4%
ევროატლანტიკური ინტეგრაცია საქართველოს თურქეთის სამხედრო ბაზად გადააქცევს	6.3%	45.4%	48.3%



ID ბარათების შესახებ ეთანხმებით თუ არა ჭვამოთ მოყვანილ დებულებებს:

ცხრილი და დიაგრამა 5.5. ასოცირების ხელშეკრულება და ID ბარათები


	მართალია	მცდარია	არ ვიცი
ID ბარათი მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან დაცული დოკუმენტია, რომელიც დროის დაზოგვას უწყობს ხელს	81.1	6.3	12.6
ევროპული გამოცდილების გაზიარების შედეგად უკეთ იქნება უზრუნველყოფილი პერსონალურ მონაცემთა დაცვა	64.6	8.9	26.5
ევროკავშირში არსებობს რეგულაციები ახალშობილებისათვის ჩიპების ჩაყენების შესახებ	5.7	49.8	44.5



თქვენი აზრით, რა შედეგებს გამოიწვევს უვიზო მიმოსვლის რეჟიმი?

ცხრილი და დიაგრამა 5.6. ასოცირების ხელშეკრულება და უვიზო მიმოსვლა

	მართალია	მცდარია	არ ვიცი
ევროპის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მხოლოდ პრივილეგირებული ჯგუფებისთვისაა განკუთვნილი	32.0	51.7	16.3
საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება შეუზღუდავი ვადითა და ნებისმიერი მიზნით გაემგზავროს ევროკავშირის ქვეყნებში	52.7	29.7	17.6
ევროპის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მხოლოდ პრივილეგირებული ჯგუფებისთვისაა განკუთვნილი	32.0	51.7	16.3



თქვენი აზრით, რა შედეგებს გამოიწვევს საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომხვევი თავისუფალი ვაჭრობის (DCFTA) სივრცის შექმნა?

ცხრილი და დიაგრამა 5.7. ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA

	მართალია	მცდარია	არ ვიცი
ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი გათავისუფლდება საბაჟო ტარიფისგან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას	27.0	29.1	43.9
ქართული კომპანიები ვერ დააკმაყოფილებენ ევროკავშირის სტანდარტებს, შესაბამისად, ევროკავშირში ქართული პროდუქტი ვერ შევა	23.9	42.2	33.9
ასოცირების შეთანხმების განხორციელება გამოიწვევს ეკონომიკურ სირთულეებს	25.5	40.1	34.4
ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებით ხელი შეეშლება საქართველოს ექსპორტს არაევროპულ ქვეყნებში	20.9	38.2	40.9
ევროკავშირი უზრუნველყოფს პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფალ ბაზარს, რაც მნიშვნელოვანია ქართული ბიზნესის სტაბილური განვითარებისთვის	52.1	8.7	39.2
საბაჟო შეღავათები რეალურად ქართული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილზე გავრცელდება	28.2	22.6	49.2
თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ქართული პროდუქციის თურქულით ჩანაცვლებას გამოიწვევს	13.1	48.9	38.0
საქართველო დაკარგავს რუსულ ბაზარს	38.8	24.3	36.9

ევროკავშირი უზრუნველყოფს პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფალ ბაზარს, რაც მნიშვნელოვანია ქართული ბიზნესის სტაბილური განვითარებისთვის

საქართველო დაკარგავს რუსულ ბაზარს

საბაჟო შეღავათები რეალურად ქართული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილზე გავრცელდება


ასოცირების შეთანხმების განხორციელება გამოიწვევს ეკონომიკურ სირთულეებს

ქართული კომპანიები ვერ დააკმაყოფილებენ ევროკავშირის სტანდარტებს, შესაბამისად, ევროკავშირში ქართული პროდუქტი ვერ შევა

ევროპასთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებით ხელი შეეშლება საქართველოს ექსპორტს არაევროპულ ქვეყნებში

ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი გათავისუფლდება საბაჟო ტარიფისგან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას

თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ქართული პროდუქციის თურქულით ჩანაცვლებას გამოიწვევს



ევროპასთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული საკითხების პრიორიტეტულობის განსაზღვრა ახალგაზრდების მიერ

რესპონდენტებს შეეთავაზათ ევროპასთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული საკითხების სია, საიდანაც უნდა აერჩიათ მათთვის განსაკუთრებით პრიორიტეტული სამი საკითხი.


კითხვაზე უპასუხა რესპონდენტთა 62% (ჯამში 674 რესპონდენტმა). მათ მიერ გაცემული პასუხების მიხედვით, ახალგაზრდებისათვის ასოცირების ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხებიდან კითხვარში შეტანილი საკითხები პრიორიტეტულობის მიხედვით შემდეგნაირად დალაგდა:

ცხრილი 6.1. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების პრიორიტეტული საკითხები

საკითხები პრიორიტეტულობის მიხედვით	მონაცემები დათვლილია მათგან, ვინც უპასუხა აღნიშნულ კითხვაზე
უვიზო მიმოსვლის რეჟიმი	78.0%
ევროპული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, გაცვლითი პროგრამების გაფართოება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისთვის	60.8%
ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება, რის შედეგადაც უნდა გაიზარდოს ქართველი მწარმოებლებისათვის ევროპული ბაზრის, ხელმისაწვდომობა, ხოლო ქართველი მომხმარებლისთვის უფრო ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ევროპული პროდუქცია და მომსახურება	27.1%
კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების სფეროში თანამშრომლობა	25.0%
ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში თანამშრომლობა	22.3%
თანამშრომლობა ტურიზმის სფეროში	20.6%
თანამშრომლობა სოფლის მეურნეობის საკითხებში	18.0%
საერთაშორისო მძიმე დანაშაულისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა	5.1%
თანამშრომლობა გარემოს დაცვის საკითხებში	5.0%
მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა	3.8%
თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში	3.7%
უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა	2.4%
საგზაო, სარკინიგზო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვა	1.9%
სტატისტიკის დამოუკიდებელი სამსახურის გაძლიერება	1.2%

თქვენი აზრით, საქართველოს ხელისუფლების დღევანდელი საგარეო კურსი ქვემოთ მოყვანილი შემდეგი დებულებებიდან რომელი დებულების შესაბამისია:


დიაგრამა 6.1. საქართველოს ხელისუფლების საგარეო კურსის შეფასება



ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა გზავნილები ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ

ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა გზავნილები ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ თანმიმდევრულად მიაჩნია გამოკითხულ ახალგაზრდათა 10,6%-ს. გამოკითხულთა 40,2% თვლის, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა გზავნილები ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ წინააღმდეგობრივია, ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებენ. ახალგაზრდათა 40,7%-ს არა აქვს პასუხი ამ კითხვაზე.


დიაგრამა 6.2. ხელისუფლების წარმომადგენელთა გზავნილების თანმიმდევრულობა



გაქვთ თუ არა სურვილი, რომ გაიგოთ მედი ინფორმაცია ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების შესახებ?

ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების პროცესზე ინფორმაციის მიღება ძალიან აინტერესებს გამოკითხულ ახალგაზდათა 13%-ს, აინტერესებს 52,4%, არც თუ ისე აინტერესებს 24,1%, საერთოდ არ აინტერესებს მხოლოდ გამოკითხულთა 7%-ს.

დიაგრამა 6.3. ახალგაზრდების ინტერესი ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის მიღებისადმი



რა გზით გინდათ, რომ გაიგოთ მათი ინფორმაცია ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების შესახებ?


რესპონდენტებმა შეთავაზებული ჩამონათვალიდან, აირჩიეს ინფორმაციის ის გზები, რომლითაც ურჩევნიათ, რომ გაიგონ მეტი ინფორმაცია ევროკავშირთან საქართველოს დაახლოების შესახებ.

ჩამონათვალში შევიდა ახალგაზრდების სამიზნე ჯგუფისათვის განსაზღვრული კომუნიკაციის ის ფორმები, რაც მოცემულია „ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიაში 2014-2017 წლებისთვის“. ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ, რამდენად პრიორიტეტულია ახალგაზრდებისათვის ევროკავშირთან დაახლოების პროცესის შესახებ ინფორმაციის ამ გზებით მიღება.

ახალგაზრდათა დიდ ნაწილს, ინფორმაციის მიღება ინტერნეტით ურჩევნია, კერძოდ კი, სოციალური ქსელებით 46,7%-ს, სხვადასხვა ვებ-გვერდებით 23%-ს, რაც ჯამში 69,7%-ს შეადგენს. ინფორმაციის მიღების სასურველი გზებიდან შემდეგ ადგილზეა სხვადასხვა ტელე-გადაცემები (61,4%).

დეტალური მონაცემები კომუნიკაციის სასურველი გზების შესახებ იხილეთ ქვემოთმოყვანილ დიაგრამაზე.

დიაგრამა 6.4. ევროინტეგრაციის შესახებ კომუნიკაციის სასურველი გზები



დასახელებით ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხები, რომელზეც მთი ინფორმაციის და განმარტების მიღებას ისურვებდით?

ღია კითხვის საშუალებით, შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ კერძოდ რომელ საკითხებზე, სურთ გამოკითხულ ახალგაზრდებს მეტი ინფორმაციისა და განმარტების მიღება.

ღია კითხვაზე პასუხი გაცა რესპონდენტთა 52,5%-მა (ჯამში 570 რესპონდენტი). დასახელება 776 მოსაზრება, ეს მოსაზრებები დაჯგუფდა 48 საკითხად.

ცხრილი 6.2. ევროინტეგრაციის საკითხები, რაზეც ახალგაზრდებს ინფორმაციის მიღება სურთ

ახალგაზრდებისათვის საინტერესო საკითხები საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ	დათვლილია იმ რესპონდენტების რიცხვიდან, რომლებმაც უპასუხეს ამ კითხვას	ახალგაზრდებისათვის საინტერესო საკითხები საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ	დათვლილია იმ რესპონდენტების რიცხვიდან, რომლებმაც უპასუხეს ამ კითხვას
უვიზო მიმოსვლის შესახებ	34.7%	ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკა	2.8%
გაცვლითი პროგრამები და ევროპული განათლება	20.3%	ევროკავშირში შესვლის სავარაუდო ვადები	2.3%
რა გავლენა ექნება ევროინტეგრაციას ქვეყნის განვითარებაზე	9.6%	საგარეო ურთიერთობები	2.1%
როგორ აისახება ეკონომიკაზე ევროინტეგრაცია	7.7%	რეგულაციები	1.9%
ადამიანის უფლებები	6.8%	ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საკითხები	1.9%
დასაქმების შესახებ ევროპაში	6.8%	სექსუალური უმცირესობების საკითხი, ჩატარდება თუ არა გეიალლუმები, დაკანონდება თუ არა ერთსქესიანთა ქორწინება	1.8%
ტერიტორიული მთლიანობის საკითხის გადაჭრის პერსპექტივა	6.3%	დაცული იქნება თუ არა რელიგია	1.8%
საქართველოს ვალდებულებები	5.6%	ტურიზმის შესახებ	1.8%
რა არის თავისუფალი ვაჭრობა	5.4%	ბიზნესზე რა ასახვას ჰპოვებს	1.4%
დაცული იქნება თუ არა კულტურული მემკვიდრეობა	2.8%	ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხები როგორ დარეგულირდება	1.2%
		რამდენად შევძლებთ ურთიერთობების დალაგებას რუსეთთან ევროინტეგრაციის შემთხვევაში	1.1%

ახალგაზრდებისათვის საინტერესო საკითხები საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ

დათვლილია იმ რესპონდენტების რიცხვიდან, რომლებმაც უპასუხეს ამ კითხვას

რა კეთდება იმისთვის, რომ შევიდეთ ევროკავშირში	1.1%
ევროპული შრომის კოდექსის შრომითი ურთიერთობების შესახებ	0.7%
ევროკავშირში შემავალი ქვეყნების სტატისტიკური მონაცემები	0.7%
რა მოხდება თუ ქართული კომპანიები ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნებს	0.5%
შეინარჩუნებს თუ არა ქვეყანა თავის იდენტობას	0.5%
მიგრაციის შესახებ, რა შეაჩერებს მიგრაციას	0.5%
რა ბედი ელის ეროვნულ ვალუტას	0.5%
რომელი სფეროს განვითარება იქნება პრიორიტეტული	0.5%
სოფლის პროდუქციის სტანდარტების შესახებ	0.4%
შშმ პირების უფლებები იქნება თუ არა დაცული და როგორ	0.4%
იმოქმედებს თუ არა ქართული მართვის მოწმობა ევროპაში	0.4%
უმუშევრობის დონე ევროპაში	0.4%

ახალგაზრდებისათვის საინტერესო საკითხები საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის შესახებ

დათვლილია იმ რესპონდენტების რიცხვიდან, რომლებმაც უპასუხეს ამ კითხვას

შესაძლებელი იქნება თუ არა ევროპაში საცხოვრებლად წასვლა და რამდენი ხნით	0.4%
ვისთვის იქნება ხელმისაწვდომი უვიზო მიმოსვლა	0.4%
რატომ უნდა ავირჩიოთ ევროპა	0.4%
როგორ ფუნქციონირებს ევროკავშირის სტრუქტურები	0.4%
საკვების ხარისხი	0.2%
რა ბედი ეწევათ აფხაზ და ოს მოსახლეობას	0.2%
ფასების შესაძლო ცვლილებები	0.2%
ტრეფიკინგი	0.2%
რა განსხვავებაა რუსეთსა და ევროპას შორის	0.2%
რას გააკეთებს ევროკავშირი რუსეთის აგრესიისგან საქართველოს დასაცავად	0.2%
როგორ ფუნქციონირებს ევროკავშირის სტრუქტურები	0.2%
დევნილთა საკითხები როგორ დარეგულირდება	0.2%
ტერმინების განმარტება ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით	0.2%
მარიხუანას დეკრიმინალიზაციის შესახებ	0.2%
სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული საკითხები	0.2%

დასკვნები და რეკომენდაციები

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას მხარს უჭერს ახალგაზრდათა 79%. თუ წინამდებარე კვლევას 2015 წლის აგვისტოში ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას შევადარებთ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების მხარდაჭერა ახალგაზრდებში გაცილებით მაღალია (79%), ვიდრე ზოგადად მთელი მოსახლეობისა. საქართველოს მასშტაბით NDI-ის მიერ ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის თანახმად, ევროკავშირის მიმართ მხარდაჭერა 61%-მდე არის შემცირებული.

ახალგაზრდებზე უფრო მორგებული კომუნიკაცია

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობა არც თუ ისე მაღალია, რის მიზეზად, წარმოებული საინფორმაციო სამუშაოს არასაკმარისი მოცულობა და ინტენსივობა უნდა ჩაითვალოს და არა ახალგაზრდათა დაუინტერესებულობა ამ თემით. ჯამში გამოკითხულ ახალგაზრდათა მხოლოდ 14,3% თვლის, რომ ძალიან კარგად ან კარგად არის ინფორმირებული ევროპასთან საქართველოს დაახლოების პროცესის შესახებ, მაშინ როდესაც აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ან ძალიან დაინტერესებულია გამოკითხულთა 65,4% (მაინტერესებს 52,4% და ძალიან მაინტერესებს 13%).

რეკომენდაცია: მნიშვნელოვანია, რომ „ევროინტეგრაციის შესახებ კომუნიკაციის სტრატეგიის“ და სამოქმედო გეგმის განხორციელებისას, შესაბამისმა უწყებებმა კომუნიკაციის ფორმების დიფერენცირება სამიზნე ჯგუფების მიხედვით მოახდინონ, ახალგაზრდებთან ურთიერთობისას კომუნიკაციის განსხვავებულ ფორმებს მიმართონ და ევროინტეგრაციის შესახებ მათ მეტი ინფორმაცია მიაწოდონ.

თელავიზიის და სოციალური მედიის მეშვეობით გამოყენება

ტელევიზია და სოციალური მედია ახალგაზრდებმა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღების მთავარ და მომავალში სასურველ საკომუნიკაციო წყაროებად დაასახელეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რუსულენოვან არხებზე რეგიონებ-

ში წვდომა თბილისთან შედარებით მაღალია და ისინი ხშირად სწორედ გასართობი გადაცემების მხრივ არიან მიმზიდველი ახალგაზრდებისთვის. სოციალური მედიიდან კი ფეისბუქს რუსულენოვან Одноклассник-ებთან შედარებით უპირატესობა აქვს როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. თუმცა, Одноклассник-ებს რეგიონებში, განსაკუთრებით უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, მაინც მნიშვნელოვანი სეგმენტი უკავია.

რეკომენდაცია: ახალგაზრდულ სამიზნე ჯგუფებთან შედეგზე ორიენტირებული კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია, ტელევიზიისა და სოციალური მედიის, განსაკუთრებით ფეისბუქის პროაქტიული გამოყენება. ინფორმაციის მიწოდების ტრადიციული ფორმების გარდა, სასურველია, ამ მედიუმების საჯარო ფორუმის ფუნქციით დატვირთვა, რათა ახალგაზრდებს მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე აზრის გამოთქმის, მსჯელობისა და დისკუსიის შესაძლებლობა მიეცეთ.

მეტად უნდა განვითარდეს ქართულ ენაზე არსებული ონ-ლაინ რესურსები, ხოლო არსებულის შემდგომი პოპულარიზაციის ხელშეწყობი გზები მოინახოს. ინტერნეტში ინფორმაციის გავრცელების უფრო კრეატიული ფორმების გამონახვასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს მასალის მარტივად აღქმისა და ინფორმაციის იოლად მიღების შესაძლებლობაზე (მაგალითად, ინფოგრაფიკა, საინტერესო მოკლე სტატიები, მცირე ვიდეოები, ანიმაცია და ა.შ.).

სახელმწიფო სტრუქტურებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ინტერნეტით ინფორმაციის გავრცელებას და არ შემოიფარგლონ მხოლოდ მშრალი და პროტოკოლური ინფორმაციის გავრცელებით. მათ მომხმარებლისათვის უფრო მეგობრული (user-friendly) ფორმატები უნდა მონახონ, სოციალური ქსელი სამიზნე ჯგუფებთან უკუკავშირის დასამყარებლად გამოიყენონ და არა ინფორმაციის ცალმხრივად მისაწოდებლად.

მეტი აქცენტის გაკეთება რეგიონების ახალგაზრდებზე

ევროპასთან ინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები ნაკლებად ინფორმირებულად გრძნობენ თავს, თბილისში მცხოვრებ ახალგაზრდებთან შედარებით.

რეკომენდაცია: საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვის დროს, ყურადღება უნდა გამახვილდეს რეგიონებში ახალგაზრდებამდე ინფორმაციის მიტანის ეფექტიან გზებსა და ამ მიმართულებით აქტივობების გაზრდაზე. რეგიონებში ორგანიზებული სხვადასხვა შეხვედრები სასურველია ორმხრივი კომუნიკაციის ფორმით წარმართოს, რათა ახალგაზრდები მხოლოდ ინფორმაციის პასიური მიმღებების როლში არ მოგვევლინონ და დისკუსიაში ჩართვის და საკუთარი შეხედულებების გამოთქმის შესაძლებლობა მიეცეთ.

ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება

ინგლისური და რუსული ენების ცოდნის მხრივ განსხვავებული ვითარება გამოიკვეთა თბილისსა და საქართველოს რეგიონებს შორის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, სადაც ინგლისურთან შედარებით რუსული ენის ცოდნის მხრივ უპირატესი მდგომარეობაა.

რეკომენდაცია: საერთაშორისო საკომუნიკაციო ენის ცოდნა განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს იმ ჰიბრიდული ომის ფონზე, რომელიც დღეს დასავლური სამყაროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და რასაც რუსულენოვანი მედია საშუალებები პროაქტიულად აწარმოებენ. ინგლისური ენის, როგორც კომუნიკაციის და ინფორმაციის მიღების საშუალების, ეფექტიანი გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია, ინგლისურის სწავლის ხარისხის და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესება. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება 2010 წელს დაწყებული, ინგლისურენოვან მოხალისე მასწავლებელთა პროგრამის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ შემდგომ ეფექტიან განხორციელებას.

ეთნიკური უმცირესობების ენაზე მაუწყებლობის გაძლიერება

საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვისას, საჭიროა გვახსოვდეს, რომ ქართული ნაციონალური არხებით გავრცელებული ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქების ახალგაზრდათა 30%-მდე ვერ მიაღწევს (აქედან, ქართულ არხებს ენის ბარიერის გამო – 22,9%, ხოლო იმის გამო, რომ ქართული არხები მათ პრობლემებს არ ასახავენ, 7,6% არ უყურებს).

რეკომენდაცია: მნიშვნელოვანია, ევროინტეგრაციის საკითხებზე კომუნიკაციის უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე წარმოება. ამ მხრივ საზოგადოებრივ მაუწყებელს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია, რომელსაც ერთის მხრივ, კანონით აქვს განსაზღვრული ვალდებულება, „უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის, პოპულარიზაცია¹“; მეორეს მხრივ კი, – უმცირესობების ენაზე მაუწყებლობა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა პროგრამული პრიორიტეტები კანონმდებლობის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს და საზოგადოებას შესაბამისი შინაარსის პროგრამები მიაწოდოს.

იმ ფონზე, როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნები რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის ერთ-ერთ გზად ხარისხიანი რუსულენოვანი საერთო არხის შექმნის შესაძლებლობას განიხილავენ², გასათვალისწინებელია საქართველოში მოქმედი რუსულენოვანი

¹ მაუწყებლობის შესახებ კანონი, მუხლი 16. 6)

² Russia's manipulation of information on Ukraine and the EU's response, European Parliament, May 2015. [http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2015/559471/EPRS_BRI\(2015\)559471_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2015/559471/EPRS_BRI(2015)559471_EN.pdf)

არხის „პიკის“ გამოცდილება, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე ფუნქციონირებდა და როგორც შიდა, ასევე პოსტ-საბჭოთა სივრცის რუსულენოვან აუდიტორიაზე იყო გათვლილი. საქართველოს იმ მოქალაქეების სრულფასოვნად ინფორმირებისთვის, რომელთა საკომუნიკაციო ენა რუსულია, ასეთი პლატფორმის არსებობა მნიშვნელოვანია.

იდენტობისა და უსაფრთხოების თაობაზე უარყოფითი მოლოდინების გაქარწყლება

რესპონდენტებმა ევროინტეგრაციის პროცესის შედეგად მოსალოდნელ საფრთხეებს შორის ყურადღება გამამახვილეს ისეთ საკითხებზე, რომლებიც ანტიდასავლური რიტორიკის წამახალისებელ მედიაში³ ყველაზე დიდი ინტენსივობით იჩენს თავს. ეს საკითხებია, ეროვნული იდენტობისა და ტრადიციების დაკარგვის შიშები, ასევე რუსეთის მხრიდან საფრთხეების ზრდა და შესაბამისი უსაფრთხოების გამოწვევები.

რეკომენდაცია: საჭიროა, ახალგაზრდების მონაწილეობით ღია დისკუსიების წარმართვა ისეთ საკითხებზე, რომლებიც იდენტობას უკავშირდება, ასევე მულტიკულტურალიზმის დასავლური გაგებისა და იმ საერთაშორისო ინსტრუმენტების შესახებ მათი სრულფასოვანი ინფორმირება, რაც ეროვნული თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას უკავშირდება. უსაფრთხოების საკითხებზე ევროატლანტიკური ინსტრუმენტების შესახებ საზოგადოების მეტად ინფორმირების პარალელურად, მნიშვნელოვანია, ხელისუფლების გზავნილები საგარეო-პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ იყოს უფრო მკაფიო და ნაკლებ წინააღმდეგობრივი, რამაც რესპონდენტთა პასუხებზეც ჰპოვა ასახვა. ბუნდოვანება ამ მიმართულებით ხელს უწყობს აზრის დამკვიდრებას, რომლის თანახმად, ევროატლანტიკური ინტეგრაცია დაკავშირებულია არა საქართველოს უსაფრთხოების გარანტიებთან და დემოკრატიული განვითარების პერსპექტივებთან, არამედ მხოლოდ რუსეთის მხრიდან საფრთხეების ინტენსიფიკაციასთან.

ევროინტეგრაციის წინააღმდეგობრივ საკითხებზე და მითებზე მითი ობიექტური ინფორმაციის მიწოდება

მართალია, არც თუ ისე დიდია იმ ახალგაზრდათა რაოდენობა, ვისაც მედიის მიერ ან მედიის საშუალებით გავრცელებული მითები სარწმუნოდ მიაჩნია, მაგრამ მაღალია იმ ახალგაზრდათა პროცენტული რაოდენობა, რომელმაც არ იცის მართალია თუ მცდარია ცალკეული მითი. შესაბამისად, ისინი არ ფლობენ სრულფასოვან ინფორმაციას გარკვეულ წინააღმდეგობრივ საკითხებთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია: საჭიროა, საზოგადოების მეტად ინფორმირება სპეციფიურ თემებზე, რომელთა გამოვლენა მედია მონიტორინგისა და საჯარო დისკურსის მეშვეობით ხდება შესაძლებელი. ასეთად წინამდებარე კვლევის შედეგად, საკითხთა არაერთგვაროვანი

³ ანტიდასავლური პროპაგანდა, მედიის განვითარების ფონდი, 2014-1015. <http://mdfgeorgia.ge/uploads/Antidasavluri-GEO-web.pdf>

სპექტრი დასახელდა, რაც როგორც ქართულ პროდუქციაზე საბაჟო შეღავათების გავრცელების, ასევე უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის, ჩიპებისა და ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში საქართველოში თურქეთის ბაზების განთავსების საკითხს მოიცავს.

მედი აქცენტი გაკეთება ევროინტეგრაციის სიკეთეებზე

კვლევის შედეგად გამოიკვეთა საკითხთა სპექტრი, რომლის შესახებაც ახალგაზრდებს ინფორმაციის მიღება სურთ და ეს თემები უკავშირდება არა უსაფუძვლო მითებს, არამედ კონკრეტულ და ხელშესახებ სიკეთეებს, რაც ქვეყნის განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი. ასეთი თემებია: უვიზო მიმოსვლა, გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამები და განათლება, ეკონომიკური განვითარება და ა.შ.

რეკომენდაცია: მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგია მხოლოდ ნეგატიური ინფორმაციის უარყოფაზე არ უნდა იყოს ფოკუსირებული და მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ სიკეთეებზე, რომელთა მიღება საქართველოს მოქალაქეებს ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში მიეცემა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, წარმატებული მაგალითების პოპულარიზაცია, რათა მოქალაქეებს პერსპექტივის განცდა გაუჩნდეთ. ასევე მნიშვნელოვანია, ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული სარგებლის კომუნიკაციაში მხოლოდ ერთეული სამინისტროები არ იყვნენ ჩართული და ინფორმაცია საგანმანათლებლო, კულტურული თუ სხვა პროგრამების, მათ შორის შესაბამისი ვალდებულებების, შესახებ საზოგადოებისთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი.

